

## ქეთევან ანთელავა

### ამერიკელი მწერალი ჯუმფა ლაჰირი და მისი ლიტერატურული ტრიპტიქი

#### ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინდური, უფრო ზუსტად კი ბენგალური წარმოშობის ამერიკელი მწერლის ჯუმფა ლაჰირის მითხრობათა კრებული *უცხო მიწა (Unaccustomed Earth)* 2008 წელს გამოვიდა და მაშინვე ნიუ-იორკ თაიმსის ნომერ პირველ ბესტსელერად იქცა. ათი წლით ადრე გამოსული მისი სადებიუტო მითხრობების კრებული, *სწეულებათა განმმარტებელი (Interpreter of Maladies, 1999)* პულიცერის პრემიით აღინიშნა. 2003 წელს გამოსულმა რომანმა *სეხნია (The Namesake)* მისი პოპულარობა კიდევ უფრო გაზარდა და ამას 2006 წელს ამ რომანის მიხედვით შექმნილმა ფილმმაც შეუწყო ხელი. რომანის ეკრანიზაცია ასევე ბენგალელ რეჟისორ ქალს, მაირა ნაირს ეკუთვნის. ამჟამად ჯუმფა ლაჰირი იტალიაში ცხოვრობს, სადაც მწერალმა 2018 წელს გამოსცა იტალიურ ენაზე დაწერილი წიგნი *სად ვარ? (Dove Mi Trovo)*. წიგნი იტალიურ ენაზეა დაწერილი და ავტორისეულ ინგლისურ თარგმანში *ადგილსამყოფელი (Whereabouts)* ეწოდება. ამერიკელი ავტორების იტალიისკენ სწრაფვა და ამ ქვეყნის შთაგონებით მხატვრული ნაწარმოებების შექმნა ამერიკელი მწერლებისთვის უცხო სრულიად არ არის.<sup>1</sup> ჯუმფა ლაჰირიც, ჰენრი ჯეიმსის რომანების პერსონაჟებით, თავით გადაეშვა ახალ გარემოსა და ახალ ცხოვრებაში.

„რთულია იმის ახსნა, თუ რა ძალას მიჰყავხარ ახალ ენასთან, შემდეგ ახალ ადგილამდე და ბოლოს ახალ ცხოვრებამდე,“ წერს იგი ერთ-ერთ ინტერვიუში“ (Allardice, 2021, <https://www.theguardian.com/books/2021/may/01/jhumpa-lahiri-ive->

---

<sup>1</sup> James Fenimore Cooper *The Water-Witch*, Nathaniel Hawthorne *The Marble Faun*, Henry James *The Golden Bowl* (Wright, 2023)

always-existed-in-a-kind-of-linguistic-exil). მოგვიანებით, იტალიელი ავტორების ინგლისურად თარგმნის გამოცდილება მისთვის გახდა ერთგვარი ბიძგი, რათა დაეწერა ესეების კრებული *Translating Myself and Others* (2022).

ჯუმფა ლაჰირის მოთხრობებისა და რომანების მოქმედების ადგილი (ამერიკა, ინდოეთი, იტალია, სამხრეთ ამერიკა, ტაილანდი) ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც თემები, რომლებსაც ის ეხება: გარიგებით ქორწინება და ზოგადად, ოჯახური ურთიერთობები, გაუცხოება, კულტურული ფესვების დაკარგვა და ძიება, ემიგრანტების თაობებს შორის არსებული სირთულეები და ასიმილაციის თავისებურებები, უმცირესობათა კოსმოპოლიტიზმი. ყველა ეს პრობლემა პირადად მისთვისაც არაა უცხო და ამდენად მათი მხატვრული ასახვა კიდევ უფრო დამატვრული და ფასეული ხდება.

ჯუმფა ლაჰირი 1967 წელს ლონდონში, ინდოელი ემიგრანტების ოჯახში დაიბადა. სამი წლის იყო, როცა მისი ოჯახი საცხოვრებლად ამერიკაში გადავიდა და გოგონა თავის წარმომავლობასთან დაკავშირებით უკვე საბავშვო ბაღის ასაკიდან გრძნობდა გარკვეულ უხერხულობას. მასწავლებელი მოფერებით ჯუმფას ეძახდა, რადგან მისი ნამდვილი სახელი - ნილანჯანა სუდესნა (Nilanjana Sudeshna) - ძნელი წარმოსათქმელი იყო. უხერხულობის განცდა იმასთან დაკავშირებით, რომ მისი წარმომავლობა - და თვით არსებობაც კი - გარშემომყოფთ ტკივილსა და დისკომფორტს უქმნიდა, მისი ცხოვრების თანმდევი გახდა და მან მხოლოდ ზრდასრულ ასაკში მოახერხა თავის ინდურ და ამერიკულ საწყისებს შორის ბალანსის პოვნა. ერთ-ერთ ინტერვიუში ის წერს:

*„მწერლის ხელობამ იმიტომ მიმიზიდა, რომ მექონდა სურვილი, ქალაქებში მანქანა მეცადა იმ ორი სამყაროს შერწყმა, რომელთა ბინადარი ვარ, რადგან არც სითამამე მყოფნიდა და არც სიმწიფე, რომ ეს რეალობაში გამეკეთებინა.“*

(Elkann, 2022, <https://www.alainelkanninterviews.com/jhumpa-lahiri>)<sup>2</sup>

ნიუ-იორკსა და ბოსტონში მიღებული საფუძვლიანი განათლებისა<sup>3</sup> და მოპოვებული არაერთი ჯილდოს<sup>4</sup> შემდეგ იგი თავს მაინც გაუცხოებულად გრძნობდა და ამბობდა, რომ როდესაც დედასთან ერთად გადაუდებელი სასწრაფო დახმარების რიგში დგას, არც დიპლომები, არც პულიცერის პრემია და არც CV თან არ აქვს (Elkann, 2022, <https://www.alainelkanninterviews.com/jhumpa-lahiri>).

ცალკე ყურადღებას იმსახურებს მისი ე.წ. „ლინგვისტური გარიყულობა“, რომელსაც იგი რომში გადასვლამდე გაცილებით ადრე გრძნობდა. ჯუმფა ლაჰირი აღნიშნავს, რომ მის

<sup>2</sup> აქ დ შემდგომში თარგმანი ია ქვაჩახიასი.

<sup>3</sup> ბაკალავრის დიპლომი ინგლისურ ლიტერატურაში, ბარნარდის კოლეჯი; მაგისტრის დიპლომები ინგლისურში, შემოქმედებით წერასა და შედარებით ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ბოსტონის უნივერსიტეტი; მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი რენესანსის კვლევებში, ბოსტონის უნივერსიტეტი.

<sup>4</sup> პულიცერის პრემია, ეროვნული წიგნის ჯილდო მხატვრულ ლიტერატურაში, პრემიდენტობამას ეროვნული მედალი, ფრენკ ო'კონორის საერთაშორისო ჯილდო მოთხრობებისთვის, აზიურ-ამერიკული და სამხრეთ აზიური ლიტერატურული ჯილდოები და სხვა.

ცხოვრებაში ყოველთვის არსებობდა „სხვა ადგილი“, „სხვა ენა“ და „სხვა სამყარო“. ბენგალური ენა მისთვის მშობლიურიცაა და იმავდროულად უცხოც, რადგან ამ ენაზე არც წერს და არც კითხულობს. ეს მისი მშობლების სამყაროს ენაა. ინგლისური მისთვის „დედინაცვალივითაა.“ ინგლისური ენა მას ადრეც და შემდგომშიც „სხვა სამყაროს“ ნაწილად აგრძნობინებდა თავს. იტალიურმა კი ორ ენასა და ორ სამყაროს შორის გაურკვეველ მდგომარეობაში მოქცეულს ერთგვარი თავსუფლება მიანიჭა. „იტალიურად ვწერ, რომ თავისუფალი ვიყო,“ ამბობს ლაჰირი ერთ-ერთ ინტერვიუში (Moser, 2022, <https://www.nytimes.com/2022/05/17/books/review/translating-myself-and-others-jhumpa-lahiri.html>)

ჯუმბა ლაჰირის ტრილოგია „ჰემა და ქაუშიკი“ კრებულ „უცხო მიწის“ სხვა მოთხრობებისგან გამოირჩევა. ამას თვითონ ავტორის მიერ მოთხრობების ცალკე, მეორე ნაწილად გამოყოფაც ცხადყოფს. მკითხველს უყურადღებოდ არ დაარჩება, რომ სამივე მოთხრობას, „ცხოვრებაში ერთხელ“, „წლის მიწურულს“ და „ნაპირისკენ“ (Once in a Lifetime, Year's End Going Ashore) სათაურშივე გამოტანილი, საერთო პერსონაჟები ჰყავს, ჰემა და ქაუშიკი. მოთხრობების ტრილოგიად მიჩნევის მთავარი მიზეზი კი მაინც ისაა, რომ ისინი მხოლოდ ერთობლიობაში იძლევა სიუჟეტური თუ მხატვრული სიღრმეების აღქმის საშუალებას. მიუხედავად იმისა, რომ ჯუმბა ლაჰირის ეს მოთხრობებიც მისთვის ტრადიციულ თემას, ემიგრაციას და მასთან დაკავშირებულ სირთულეებს და ტრავმებს ეხება, ტრილოგიის „ჰემა და ქაუშიკი“ მთავარი ფოკუსი ემიგრანტების იდენტობის არაერთგვაროვნება და ჰიბრიდულობა, გაუცხოება და ამ სამყაროში, და არა მხოლოდ ახალ გარემოში, საკუთარი ადგილის პოვნაა. მკითხველი თვალს ადევნებს ერთ ზამთარს მასაჩუსეტში შემთხვევით შეხვედრილი გოგო-ბიჭის ცხოვრებას. მათი განვლილი გზები სავსეა ტკივილით, სიყვარულით, სევდით, სიკვდილის მოლოდინითა და შიშით და ბედისწერის გარდაუვალობის მწარე განცდით. და მაინც, ეს მოთხრობები შორსაა წმინდად ემიგრანტული ლიტერატურისგან. ძნელია არ დაეთანხმო ლაჰირის მკვლევარს, რომელიც წერს:

*„სახელებს თუ არ ჩავთვლით, ჰემა და ქაუშიკი მკითხველის გონებაში გამოიხმობენ ნებისმიერი ამერიკელის 70-ნი წლების ბავშვობას; მათი განცდები ემთხვევა იმ ტკბილმწარე გრძობას, ნებისმიერი ამერიკელი რომ განიცდის მონიჭებული ასაკის თანმხლებ მსხვერპლსა და კომპრომისებთან შეგუებისას. ლაჰირის მიერ აღწერილი თაობათა კონფლიქტი ეროვნულ საზღვრებს სცდება. აღტაცების, ურთიერთქმედობისა თუ ურთიერთკრიტიკის ტალღები, რომლებიც ორ ოჯახს შორის მოედინება, სავსებით შესაძლებელია, რომელიმე პატარა ქალაქის გარეუბანში მცხოვრებ სმიტებსა და ტეილორებს შორისაც ავორებულიყო. ხოლო ის ჭიდილი, ჰემასა და ქაუშიკს შორის ურთიერთკავშირისა და ურთიერთკონტროლის გამო რომ გამართულა (როგორც ბავშვობაში, ისე მონიჭებულობაში), ზედმინევნით იმეორებს დასაბამიერ ჭიდილს, რომელიც ჯერ კიდევ იქედან იღებს სათავეს, როცა ქალები*

და მამაკაცები გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ“ (Schillinger, 2008, <https://www.nytimes.com/2008/04/06/books/review/Schillinger3-t.html>)

მიუხედავად იმისა, რომ აკადემიურ წყაროებსა და პოპულარულ პერიოდულ გამოცემებში ჯუმთა ლაპირის ხშირად ინდოელ-ამერიკელ ან სამხრეთ-აზიელ მწერლად მოიხსენიებენ, ის თავს ინდოელ მწერლად არ თვლის. მეტიც, ის თვლიდა რომ გამომცემლების მიერ მისი წარმომავლობის მარკეტინგული მიზნებით ექცპლუატაციას უწევდნენ, რაც წიგნის ყდებზე ინდური და ეგზოტიკური თემატიკის გადაჭარბებული გამოყენებით გამოიხატებოდა. ერთგვარად ამის საპირწონედ უსვამს ხაზს ავტორი „უცხო მიწისთვის“ შერჩეული ეპიგრაფით თავის მჭიდრო კავშირს ამერიკულ ლიტერატურულ ტრადიციებთან.

*„აღამიანი, კარტოფილისა არ იყოს, ვერა და ვერ გაიხარებს, თუ თაობიდან თაობამდე ერთსა და იმავე გამოთვითულ ნიადაგში ასაზრდოვე. ჩემი შვილები სხვადასხვა ადგილას დაიბადნენ, მაგრამ სანამ მათი ბედი ჩემს ხელთ იქნება, ფესვებს უცხო მიწაში გაიდგამენ“* (ლაპირი, 2008. გვ. 5).

ამ ციტატით, რომელიც ნათანიელ ჰოთორნის *ალისფერი დამლის შესავლიდან (საბაჟო)* არის აღებული, ის ერთის მხრივ, ხაზს უსვამს მის ერთგულებას ამერიკული ლიტერატურული ტრადიციის მიმართ და მეორე მხრივ, ამ კრებულის მთელი სულისკვეთებით და ასევე, პირადი გამოცდილებით, ერთგვარად პოლემიკაში შედის ეპიგრაფად გამოტანილ მოსაზრებასთან.

გარდამავალ, გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა, ყველგან გაუცხოების გრძნობა ჰემა და ქაუშიკის ერთ-ერთი ცენტრალური თემაა. ამის შესახებ მკვლევარი გარიდო, შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამს, რომელსაც ძნელია, არ დაეთანხმო:

*„ლაპირის მოთხრობებში ძირითადად ინდური დიასპორის წევრების არცთუ მარტივი მდგომარეობა განიხილება. ყურადღება მახვილდება შტატ ახალ ინგლისში დასახლებულ პირველი თაობის ემიგრანტებზე, როგორც ტიპურ უმცირესობაზე, ან კიდევ მათი შვილების (მეორე თაობის ბენგალელ-ამერიკელების) დილემაზე, რომლებიც თავიანთი რთული კულტურული და ტრანსნაციონალური იდენტობის გამო ორ საზოგადოებას შორის ერთგვარ ურთიერთგადამკვეთ სივრცეში აღმოჩნდნენ. თუკი პირველ თაობას (განსაკუთრებით დედებს) ინდოეთში დატოვებულ ოჯახებსა და მშობლიურ კერებთან განშორება აღარდებს, მეორე თაობის ემიგრანტებს არანაკლები სირთულის გადალახვა უწევთ. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ლაპირის პროზა დიდწილად ასახავს პერსონაჟების სუბიექტივიზმის გარდამავალ, ბლურბლურ ხასიათს და მათ ბრძოლას თვითიდენტიფიკაციის მკაფიოდ ჩამოყალიბებული განცდის გამოსამუშავებლად. მათი პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული იმ მოცემულობასთან, რომ მათ უჭირთ, ბოლომდე მიეჯაჭვონ ერთ რომელიმე ადგილს ან ერთ რომელიმე საზოგადოებას.“* (Garrido, 2020, გვ. 83)

ეს გარდამავლობა ნაწარმოების უანრობრივ თავისებურებასაც ეხება. სხვადასხვა მკვლევარი ამ ნაწარმოებს ხედავს როგორც ნოველას, ტრილოგიას ან მოთხრობათა სერიას. პირადად მე, ყველაზე შესაფერის აღწერად ლიტერატურული ტრიფტიქი

მიმჩნია. ტრიფტიქს სამნაწილიანობის გარდა ამ მოთხრობებთან ის აქვს საერთო, რომ ერთ მოვლენას სხვადასხვა რაკურსით გვაჩვენებს და გამჭოლი სიუჟეტური ხაზისა თუ მხატვრული ხერხების მეშვეობით ერთიან ქსოვილად კრავს. გამაერთიანებელი ელემენტი შეიძლება იყოს მთავარი პერსონაჟები და მათი ბავშვობა, სიყრმე და ზრდასრული ასაკი. უფრო ჩალრმავებული ანალიზი გამაერთიანებელ კომპონენტად გამოავლენს სივრცეს, ამ სივრცეში გადაადგილებასა და საკუთარი ადგილის ვერ პოვნის იდეას და უფრო სიღრმისეულად, ტრიფტიქსის შემკვრელ იდეად სიკვდილი, მისი მოლოდინის შიში და გარდაუვლობა და ამ შიშის დაძლევის გზები შეიძლება დავინახოთ.

ტრილოგია „ჰემა და ქაუშიკის“ სათაურშივე ნახსენები მთავარი პერსონაჟები ბენგალიელი ემიგრანტების ოჯახში დაბადებული ე.წ. მეორე თაობის ამერიკელები არიან და სამივე მოთხრობა მათი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს აღწერს. მოთხრობაში *ცხოვრებაში ერთხელ* მოქმედება 1981-ში ხდება. ინდოეთში 7 წლის გატარების შემდეგ ქაუშიკი და მისი მშობლები მასაჩუსეტსში ბრუნდებიან და ჰემას ოჯახში ჩერდებიან ვიდრე შესაფერის სახლს იპოვიან. სწორედ ამ დროს ჰემას ქაუშიკისკენ გაუწევს გული, მაგრამ მშობლების არეული და მომთაბარე ცხოვრებით, ორ კულტურას შორის მერყეობით თავმოებზრებულ და გაღიზიანებულ, აგრეთვე დედის სასიკვდილო ავადმყოფობით დათრგუნულ ბიჭს ცივად უჭირავს თავი. აქვე ვხედავთ, რომ ოჯახებს შორის არსებული კლასობრივი განსხვავება გარკვეულ პრობლემებს ქმნის. ამ მოთხრობის მოთხრობელი ჰემა და ის პირველ პირში გვიყვება თავის ისტორიას. შემდეგ მოთხრობაში *წლის მინურულს*, რომელშიც მოთხრობელი უკვე ქაუშიკია, მოქმედება 1986 წელს ვითარდება. იგი დამამთავრებელი კურსის სტუდენტია და მძიმე განცდებშია მამის ხელმეორედ დაქორწინების გამო. ვხედავთ მის რთულ ურთიერთობებს დედინაცვალთან და მის ქალიშვილებთან. დედინაცვალი ტრადიციული შეხედულებების ქალია, ქაუშიკს ესეც აღიზიანებს და საკუთარ სახლშიც უცხოვდ გრძნობს თავს. სერიის ბოლო მოთხრობაში (*ნაპირისკენ*) უკვე 2004 წელია. თხრობა მესამე პირში ხდება და ყურადღების ცენტრში რიგ-რიგობით ორივე პერსონაჟი ექცევა. ჰემა კლასიკური ენების პროფესორია და გარიგებით დაქორწინებამდე რამდენიმე თვეს რომში ატარებს. მშობლების მიერ შერჩეული საქმრო, ნავინი, ტრადიციების მიმდევარი პენტაბელი ინდუსია და დაქორწინების შემდეგ ისინი მასაჩუსეტსში აპირებენ დაფუძნებას, სადაც „დიდხანს და ბედნიერად“ იცხოვრებენ. რომშივე ჰემა და უკვე ცნობილი ფოტოჟურნალისტი, ქაუშიკი ერთმანეთს ხვდებიან და ყველაფერი იცვლება.

ყურადსაღებია მოთხრობების სათაურებიც, რომელთა მნიშვნელობაც პირველი ნაკითხვით სრულიად ცხადი და არაორაზროვანია: *ცხოვრებაში ერთხელ*, *წლის მინურულს* და *ნაპირისკენ*. თუმცა მეორე ნაკითხვისას მათში მოსალოდნელ ტრაგიკულ მოვლენებზე მინიშნებები იკითხება. ლაჰირის შემოქმედების მკვლევარი მარი მიანოვსკი (2020, გვ. 21) წერს, რომ მაგალითად *ცხოვრებაში ერთხელ* ქაუშიკის დედის პირველი კლასის თვითმფრინავით ბომბიდან რომში მგზავრობაზე შეიძლება მიანიშნებდეს, თუმცა რეალურად ეს მისი უკანასკნელი მგზავრობაა, რადგან მან იცის, რომ კვდება. *წლის მინურულს* ერთი შეხედვით, საშობაო სამზადისზე მიანიშნებს, თუმცა მოგვიანებით

მკითხველი ხვდება, რომ ეს ქაუშიკის ცხოვრებაში ახალი ეტაპის დასაწყისია, რომელსაც მთელი რიგი სიუჟეტური პერიპეტეიების შემდეგ გარდაცვლილი დედის ფოტოების ქვიშაში დამარხვა უძღვის წინ, მამის სახლიდან წამოსვლის და ახალი ეტაპის დასაწყისი. და ბოლოს, *ნაპირისკენ*, ერთგვარად შეცდომაში შემყვანი სათაურია, რადგან ეს მოთხრობა ქაუშიკის ცუნამიში დაღუპვის ცნობით მთავრდება.

ასევე ნიშანდობლივია სათაურში გამოტანილი „და“ კავშირი, რადგან, ერთი შეხედვით, მიზნებსა და ცხოვრების წესში არსებითი განსხვავებების მიუხედავად, ჰემა და ქაუშიკი ერთი დიდი პრობლემის ორ მხარეს წარმოადგენენ. ორივე თავის ადგილს ეძებს და ამ პროცესში მიუსაფრობის გრძნობისა და კულტურული კონფლიქტის დაძლევის ცდილობენ.

სამივე მოთხრობას ტრიფტიქის ფორმას საერთო გამჭოლი სიუჟეტური ხაზის გარდა მეტაფორულ-სიმბოლური წიაღსვლები აძლევს. ერთ-ერთი ასეთი ადგილი, ადგილმონაცვლეობა და მიუსაფრობაა. თუ მოთხრობებს ამ კუთხით დავაკვირდებით და გავანალიზებთ, დავინახავთ, რომ პერსონაჟები ძალიან ბევრს გადაადგილდებიან, რაც ქაოტური მოძრაობის შთაბეჭდილებასაც კი ქმნის. ასე მაგალითად: ქაუშიკის ემიგრანტი მშობლები აშშ-დან ინდოეთში ბრუნდებიან და რამდენიმე წელიწადში ისევ ამერიკას უბრუნდებიან; მეორე ცოლის შერთვის შემდეგ მისი მამა ბოსტონში გადადის და ინდური დიასპორით დასახლებულ, ინდურ სასურსათო მაღაზიებიან და რესტორნებიან უბანში სახლდება, მიუხედავად იმისა, რომ წლების წინ მისი ამოცანა „გაამერიკელება“ იყო; ქაუშიკი ხან ამერიკაში მოგზაურობს (რუკის გარეშე), მისთვის უცნობ ადგილებში რაღაც გაურკვეველის ძიებაში. მოგვიანებით, როგორც ფოტორეპორტიორი, სამხრეთ ამერიკაში, აზიასა და ევროპაში მუშაობს; ჰემას მშობლები წლების შემდეგ ინდოეთს უბრუნდებიან; ჰემაც ბერლინში, რომსა თუ უელსში ცხოვრებაში პრობლემას ვერ ხედავს, თუმცა თავს ვერსად კომფორტულად ვერ გრძნობს:

*„რომი შიგადაშიგ კალკუტასაც კი ავონებდა თავისი ვეებერთელა, დროის ქარცეცხლში გამოვლილი შენობებით, პალმებითა და უსაშველოდ გადატვირთული გამზირებით. ოღონდ, კალკუტის მსგავსად (რომელსაც ბავშვობიდან ხშირად სტუმრობდა), ჰემა რომსაც მხოლოდ სანახევროდ იცნობდა. ეს ქალაქი მთლიანად შთანთქავდა, მაგრამ იმავდროულად დისტანცირებულოც იყო მისგან (ლაპირი, 2008, გვ. 372).*

ეს, ხშირად ქაოტურობის ეფექტის შემქმნელი გადაადგილებები სინამდვილეში უსახლკარობის, ჰაერში გამოკიდებულობისა და მიუსაფრობის გრძნობას უსვამს ხაზს, რომელიც უკვე ამერიკაში დაბადებულ, მეორე თაობის ემიგრანტებს, ჰემას, ქაუშიკს და ალბათ, თავად ავტორსაც მაინც მოსვენებას არ აძლევს. ქაუშიკზე საუბრისას მოთხრობელი ამბობს, რომ ის საცხოვრებელ ადგილებს თავშესაფრად ვერ აღიქვამდა და არასოდეს უბრუნდებოდა (2008, გვ. 385). მსგავს მინიშნებებს სამივე მოთხრობაში უხვად ვხვდებით და ეს მათ ერთიან ქსოვილად შეკვრასაც უწყობს ხელს.

მკვლევარი მარი მიანოვსკი ამაზე წერს:

*„ჯუმა ლაპირის სამ მოთხრობაში ვხედავთ, თუ როგორ არის გადაჯაჭვული სადაურობის განცდა და მიუსაფრობა. ჰემა და ქაუშიკი განასახიერებენ იმ სირთულეს, რომელსაც განიცდიდნენ მეორე თაობის ემიგრანტები, როცა მანევრირება უნევდათ და ერთდროულად ცდილობდნენ ოჯახის, ისტორიისა და ტრადიციისადმი ერთგულების გარკვეული ფორმის შენარჩუნებას და თანადროულობის, გლობალიზაციისა და ციფრული კომუნიკაციებით ნაკარნახევი პრობემების გათავისებას“ (Mianowski, 2020, გვ. 2).*

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ადგილმონაცვლეობა მხოლოდ ტერიტორიული არ არის. მას ცალკე სიმბოლური დატვირთვა აქვს და ხშირად ორ სამყაროს შორის მოგზაურობაზეც მიანიშნებს.

*„ამქვეყნად არავინ იცოდა სად ვიყავი, ვერავინ მომწვდებოდა! ასეთი მდგომარეობა სიკვდილსაც კი ჰგავდა. ამ გაქცევამ დროებით ის უსაზღვრო ძალაუფლება მარგუნა, რომელიც დედაჩემს უკვე სამუდამოდ ჰქონდა მოპოვებული. ... სწორედ იქ მოემზადა დედაჩემი დიდი მოგზაურობისთვის, რომელშიც ჩვენ ვერ გავყვებოდით და საიდანაც ველარასდროს დაბრუნდებოდა“ (ლაპირი, 2008, გვ. 361, 362).*

სამი მოთხრობის გამაერთიანებელი კიდევ ერთი ცენტრალური ხაზი სიკვდილის თემაა. ცხოვრებაში ერთხელ მოგვითხრობს, როგორ გახდა ქაუშიკი ჰემას სიკვდილის თემასთან ზიარების ინიციატორი ერთ დღეს, ტყეში სეირნობისას. ძველ სასაფლაოზე, თოვლით დაფარულ საფლავის ქვებზე უცნობი ხალხის სახელებისა და გვარების ამოკითხვამ 13 წლის გოგო იმ მწარე რეალობას შეაჯახა, რომელზეც აქამდე არ უფიქრია. ის ასევე იგებს ქაუშიკის დედის განუკურნებელი სენის შესახებ, რაც კიდევ უფრო ამძიმებს გოგონას, რადგან ქაუშიკის დედასთან მას მჭიდრო და თბილი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა და ამ რეალობაში მან სიკვდილს, თითქოს, თვალებში ჩახედა. ეს განცდა მას მთელი ცხოვრება გაჰყვა, რასაც მესამე მოთხრობაში გადაძახილის სახით, ამ ეპიზოდის მოგონება მოწმობს.

მეორე მოთხრობა, *წლის მინურულს*, გაჯერებულია სიკვდილთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულებით: გლოვა, მომაკვდავი დედაჩემი, გარდაცვალება, სიკვდილის რაობა და ა.შ., მაგრამ სიკვდილის ხაზის კულმინაცია მოთხრობის ბოლოსაა. ქაუშიკი საშობაოდ ხელმეორედ დაქორწინებულ მამას ესტუმრება და მის მეუღლეს, ტრადიციების დამცველ ინდოელ ქალს და ორ ქალიშვილს გაიცნობს. საყურადღებოა, რომ ის არც თავის სახლში გრძნობს თავს კომფორტულად: სტუმრების ოთახში სძინავს, ინდური კერძების სუნი აღიზიანებს, დედინაცვალი სძულს. თუმცა წარმოსახვაში ჰემას მიმართავს და ასეთ რამეს ამბობს:

*„შენი მშობლების ჭერქვეშ გატარებული ყოველი დღე მძულდა, მაგრამ ახლა იმ დღეებს ნოსტალგიით ვიხსენებ. იქ ალბათ უკანასკნელად ვიგრძენი თავი, ისე როგორც საკუთარ სახლში“ (ლაპირი, 2008, გვ. 362).*

გერებთან უსიამოვნო საუბრის შემდეგ ქაუშიკი მისთვის უცნობ, უკაცრიელ ადგილებში მოგზაურობს, ვიდრე არ შეარჩევს ადგილს ოკეანისპირა ქვიშაში, სადაც დედის ფოტოებიან ყუთს ჩამარხავს. ოკეანე, რომელიც დედას განსაკუთრებულად უყვარდა და

რომელშიც მისი ფერფლი მიმოაბნის, ქაუშიკს ავის მომასწავებლად ეჩვენება, რაც მკითხველს ერთგვარად ამზადებს სიუჟეტის შემდგომი განვითარებისთვის და ამავედროულად, ბმა ტრიფტიქის ბოლო მოთხრობასთან, *ნაპირისკენ*.

*„ . . . მაგრამ ყველაზე ულმობლად მაინც ოკეანე გამოიყურებოდა. დროდადრო შავი ფერიც კი გადაკრავდა. ვიცოდი, არ დამინდობდა, მომერეოდა, გამთოშავდა, ნაწილებად დამშლიდა“* (ლაპირი, 2008, გვ. 360).

ბოლო მოთხრობაში სიკვდილის მეტაფორა ალბათ ყველაზე ცხადად და ხატოვნადაა გაშლილი. თავის საქმროსთან, ნავინთან გარიგებით ქორწინებამდე ჰემა რომში მიემგზავრება. ამ დროისთვის ჰემა უკვე შემდგარი, კლასიკური ენების სპეციალისტია. სწავლობს ლათინურ და ძველ ბერძნულ, მკვდარ ენებს და ცდილობს მათ „გაცოცხლებას“. „ასე ეგონა, ჩამკვდარ ცხოვრებას ხელახლა აცოცხლებდა,“ გვეუბნება მოთხრობელი. (ლაპირი, 2018, გვ. 372) ის ასევე ეტრუსკული კულტურითაა დაინტერესებული, რაც საკუთარ წარსულთან კავშირების პოვნის სასონარკვეთილი მცდელობაა. რომში, ერთ-ერთ მუზეუმში ეტრუსკების სარკოფაგს გადააწყდება და აი, რა ფიქრებს აღუძრავს ეს შემთხვევა:

*„ამჯერად შუშის ყუთში მოთავსებული ნეფე-დელოფლის გიგანტური სარკოფაგის თვალიერებისას, ჰემას თავისთვისვე მოულოდნელად ცრემლი მოადგა და უნებურად ნავინი გაახსენდა. ქორწინებას, რომელიც ახლო მომავალში თვით მას მოელოდა, ისევე დასტრიალებდა სიკვდილის აჩრდილი, როგორც საზიარო კუბოზე ჩამომსხდარ იმ ახალგაზრდა წყვილს.“* (ლაპირი, 2008, გვ. 375)

რაც შეეხება ქაუშიკს, ის წარმატებული ფოტორეპორტიორია, რომელიც ცხელ წერტილებში დადის და თავისი ფოტოებით, ერთის მხრივ, სიკვდილს აფიქსირებს და ლათინურის „გაცოცხლების“ მსგავსად გარდაცვლილების უკვდავყოფას ცდილობს. მეორე მხრივ, კი თავად მუდმივად სიკვდილის საფრთხის ქვეშაა.

სიკვდილის მეტაფორული ხაზის კულმინაცია ამ მოთხრობაში ისაა, რომ მთელი ცხოვრება ცხელ წერტილებში მომუშავე ქაუშიკი, ტაილანდში, მშვიდ და საკურორტო ადგილას იღუპება ავადსახსენებელი ცუნამის დროს. ისედაც გამძაფრებულ სიუჟეტურ წიაღსვლებს კიდევ ის აძლიერებს, რომ ქაუშიკს თანხმობა აქვს მიცემული ჰონ-კონგში საოფისე და უსაფრთხო სამსახურზე და ასევე, შუაგულ წყალში (რომლის მომაკვდინებელი არსი მთელ ტრილოგიას გასდევს) ის შვედი ტურისტის დაუინებელი თხოვნის შედეგად აღმოჩნდება. შვედეთი კი სტაბილურობისა და უსაფრთხოების სიმბოლოა, არა მხოლოდ ქაუშიკისთვის.

ასოციაციების, სიმბოლოებისა და მეტაფორების ქსელი, რომლებიც სამივე მოთხრობაში ერთმანეთს ეხმიანება, განსაკუთრებულ, სიღრმისეულ პლასტს ქმნის, რომელიც ზედაპირზე მყოფ საერთო სიუჟეტურ ხაზს ამყარებს და სამივე მოთხრობას ერთიან ორგანიზმად გადააქცევს. ასეთი სიღრმისეული წიაღსვლები ჯუმჯა ლაპირის ერთ-ერთი სამარკო ნიშანია და სწორედ ეს სძენს მას გამორჩეულობას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ ტექსტის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ტექსტის ინტერპრეტაციისას ძირითადი აქცენტი თავად ტექსტზე უნდა გაკეთდეს და არა იმ გარეშე ფაქტორებზე (ხშირად კლიშეებზე), რომლებიც, შესაძლოა, ავტორს ან

ნებისმიერ სხვა გარემოებას უკავშირდებოდეს. ლაჰირის შემთხვევაში ეს ალბათ მისი ბენგალური წარმომავლობა იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ინდოელი ემიგრანტების პრობლემებს მის მოთხოვნებსა თუ რომანებში დიდი ადგილი ეთმობა, მისი შემოქმედება შორსაა მხოლოდ კულტურული კონფლიქტის, ასიმილაციისა თუ ემიგრანტთა თაობებს შორის არსებული კონფლიქტების აღწერისგან.

P.S. ჯუმფა ლაჰირის მოთხოვნათა კრებული *უცხო მიწა* ქართულად არის თარგმნილი. თარგმანის ავტორია ია ქვაჩახია. მთარგმნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ქართულ ვერსიაში ყველა მხატვრული ნიუანსი ისევე იკითხება, როგორც დედანში.

## გოყენებული ლიტერატურის სია:

ლაჰირი ჯ. (2018). უცხო მინა. პალიტრა L.

Allardice L. (2021). Interview: Jhumpa Lahiri: 'I've always existed in a kind of linguistic exile'. The Guardian. <https://www.theguardian.com/books/2021/may/01/jhumpa-lahiri-ive-always-existed-in-a-kind-of-linguistic-exil>

Elkann A. (2022). Interviews. Jhumpa Lahiri. <https://www.alainelkanninterviews.com/jhumpa-lahiri>

Garrido L.P., (2020) Liminality and Secrecy in the Short Story: An Analysis of Jhumpa Lahiri's "Hema and Kaushik". Journal of the Short Story in English, pages 79-94, URL: <https://journals.openedition.org/jsse/3245> ISSN: 1969-6108

Lahiri J. (2008) Unaccustomed Land. Bloomsbury, London, New York, Berlin, Sydney.

Mianowski M . (2020). Place and Placelessness in Jhumpa Lahiri's "Hema and Kaushik" in Unaccustomed Earth. Openedition Journals. URL: <http://journals.openedition.org/ces/2172>; DOI: <https://doi.org/10.4000/ces.2172>

Moser B.May ( 2022). Jhumpa Lahiri Leaves Her Comfort Zone. The New York Times <https://www.nytimes.com/2022/05/17/books/review/translating-myself-and-others-jhumpa-lahiri.html>

Schillinger L.(2008). American Children. The New York Times, April 6. <https://www.nytimes.com/2008/04/06/books/review/Schillinger3-t.html>

Wright N. (2023). American Novelists in Italy The Discoverers, Allston to James. University of Pennsylvania Press.